

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ბიბლიოთეკის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს.
2. ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ წესით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.
3. ბიბლიოთეკა ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა და რექტორის წინაშე.
4. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე, ორშაბათი - პარასკევი 09:00-დან - 19:30 საათამდე, შაბათი 10:00-დან 17:30 საათამდე.
5. ბიბლიოთეკას აქვს თავისი ბეჭედი.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის ფუნქციები

ბიბლიოთეკის ფუნქციები:

- ა) დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დამუშავება, საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება, აღრიცხვა და დაცვა;
- ბ) უნივერსიტეტის სკოლებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით უზრუნველყოს ქართული და უცხოური ლიტერატურის განახლება საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად;
- გ) უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში დაცული, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდის ხელმისაწვდომობა;
- დ) უზრუნველყოს ელექტრონული კატალოგის შექმნა და მისი რეგულარულად განახლება;
- ე) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიაწოდოს წინადადებები ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების შესახებ;
- ვ) აწარმოოს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- ზ) უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ, ჩაატაროს საორიენტაციო/საკონსულტაციო/სამუშაო შეხვედრები;
- თ) დაამყაროს კონტაქტები სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან;
- ი) პერიოდულად უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ფონდების გადახედვა და გამოთავისუფლება შინაარსობრივად მოძველებული და ფიზიკურად უვარგისი ლიტერატურისგან;

- კ) უზრუნველყოს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ბიბლიოთეკის ჩართულობა;
- ლ) უზრუნველყოს ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნების შესწავლა, ანალიზი და მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- მ) უზრუნველყოს მკითხველთა რეგისტრაცია და გაცემული წიგნების აღრიცხვა;
- ნ) უზრუნველყოს განუული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება;
- ო) განახორციელოს უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციები.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა

ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს დირექტორი. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. ბიბლიოთეკის სტრუქტურა და თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით ბიბლიოთეკისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.